მეოთხე კლასი

ჯამური ქულა: 100
საკითხების რაოდენობა: 40

ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსაგან. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის სიტყვათა ამოცნობის, მართლწერის, თარგმნისა და მარტივი გრამატიკული ცოდნის დონეს.

#1 ილუსტრაციების ამოცნობა - Choose the correct answer according to the picture

ქულა: 10
საკითხი: 5 (თითო 2 ქულა)

მოსწავლე უნდა დააკვირდეს სურათს და სურათის მიხედვით შეარჩიოს შესაბამისი სიტყვა მოცემული სამი ვარიანტიდან (A, B. C).

მაგალითად: **A. sleeping** B. running C. eating

#2 სიტყვების სწორი მართლწერა - Choose the correctly spelled word

ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

ამ სავარჯიშში მოსწავლემ უნდა იპოვოს სწორად დაწერილი სიტყვა სამ ალტერნატივას შორის (A, B, C). სავარჯიშო ამოწმებს ინგლისური მართლწერის ცოდნას.

მაგალითი:

კითხვა: A. read B. reade C. raede
სწორია **A. read**.

#3 სიტყვების თარგმნა - Match A, B or C with the Georgian translation

ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

მოსწავლემ უნდა შეარჩიოს მოცემული ქართული სიტყვის ან ფრაზის სწორი ინგლისური თარგმანი. სავარჯიშო ამოწმებს სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნასა და მარტივი ფრაზების ამოცნობის უნარს.

მაგალითი:

ახალი კომპიუტერი: A. an old computer B. a new computer C. a big computer
სწორი პასუხია **B. a new computer**.

#4 წინადადებების შევსება - Choose the most suitable word for the missing spaces

ქულა: 30
საკითხი: 15 (თითო 2 ქულა)

სავარჯიშო მოიცავს მარტივ წინადადებებს, სადაც გამოტოვებულია სიტყვა. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი ვარიანტი (A, B, C).
კითხვები მოიცავს ყოველდღიურ თემებს: საგნებს, ცხოველებს, მოქმედებებს, წელიწადის დროებს, გრძნობებს, დახასიათებებს.

მაგალითი:

Ice cream is … . A. hot <u>B. cold</u> C. thin
სწორი პასუხია **B. cold**

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 4 ქულიანს.
ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით, სამეცადინოდ პროფილში შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები.

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგასვი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.